



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1984

19 / დეკემბერი / 2019 წ.



KA000065018571819

ქალაქ ფოთში, მალთაყვაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.02.12.809) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 114-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2019 წლის 28 ნოემბრის, N 2466 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდეს, ქალაქ ფოთში, მალთაყვაში მდებარე 4236.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N04.02.12.809) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით.

მუხლი 2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება.

მუხლი 3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



კონსტანტინე თოფურია